ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ კბილაშვილი- კოლეგიის წევრი

გიგა კვერენჩხილაძე- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ო. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 07.12.2011

საჩივრის რეგისტრაციის №106/11

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 09.01.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. კ. მიმართ,

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. კ. მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 7 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა ადვოკატმა ო. კ. და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიერ 2010 წლის ნოემბერში ჩატარებულ აუქციონზე თავისი

მარწმუნებლის, მ. კ. სახელით შეიძინა უძრავი ქონება, კერძოდ, საცხოვრებელი ფართი. აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მ. კ. სახელზე.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიერ შეძენილ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრობდა ადვოკატი ნ. კ. ოჯახთან ერთად ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.

1.4 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. კ. 2011 წლის 14 დეკემბერს დაიდო ახალი ქირავნობის ხელშეკრულება 3 თვის ვადით, საჩივრის ავტორის მითითებით, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ადვოკატს უნდა დაეცალა ბინა.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ნ. კ. საერთოდ არ გადაუხდია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინის საფასური და უარს აცხადებდა ბინის დაცლაზე. აღნიშნულ საცხოვრებელ ბინაზე დავასთან დაკავშირებით ო. კ. მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა საჩივარი.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გადაწყვეტილების მიუხედავად, ნ. კ. უარი განაცხადა დაკისრებული თანხის, 1130 აშშ დოლარისა და 200 ლარის გადახდის თაობაზე და აგრეთვე, დაკავებული ბინის დაცლაზე. ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. კ. გამოსახლებულ იქნა დაკავებული საცხოვრებელი ბინიდან.

1.7 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დაყადაღებულ იქნა ნ. კ. და თ. გ. მოძრავი ქონება. ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტავს, რომ აღსრულების გაჭიანურების მიზნით, ნ. კ. მეუღლესთან ერთად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას საჩივრით ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ.

1.8 საჩივრის ავტორი, ო. კ. თხოვნით მომართავს ეთიკის კომისიას, განიხილოს მასსა და ნ. კ. შორის არსებული დავა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

2.1 ადვოკატი ნ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, ის არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

2.2 ო. კ. ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2011 წლის 7 დეკემბერს.

3. სამართლებრივი შეფასება

3.1 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.

3.2 საჩივრის მიხედვით, ო. კ. და ადვოკატ ნ. კ. შორის წარმოიშვა სამართლებრივი დავა ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის თობაზე. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ იგი უფლებამოსილია იმსჯელოს მხოლოდ

ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმებისა და ქცევის წესების დარღვევის დროს. შესაბამისად, არ არსებობს ეთიკის კომისიაში შემოსული საჩივრის განხილვის საფუძველი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ო. კ. და ადვოკატს შორის არ წარმოშობილა ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა და საჩივრის ავტორს არ გააჩნია პრეტენზიები ადვოკატ ნ. კ. პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით.

3.3 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები“.

3.4 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და მიიჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე, ვინაიდან დავა ო. კ. და ნ. კ. შორის არის სამოქალაქო-სამართლებრივი და არ უკავშირდება ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე–9 მუხლის 1–ლი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

1. ო. კ. 2011 წლის 7 დეკემბრის №106/11 საჩივართან დაკავშირებით შეწყდეს დისციპლინური წარმოება და საჩივრის ავტორს უარი ეთქვას საჩივრის განხილვაზე.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ცირა შუბითიძე /

კოლეგიის წევრი /არჩილ კბილაშვილი /

კოლეგიის წევრი / გიგა კვერენჩხილაძე /